საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-147

19/02/2020

ქ. თბილისი

„შპს „ჯავახავტოგზა“-ს ასფალტის საწარმოს მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2017 წლის 31 ივლისის №ი-571 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

2020 წლის 12 თებერვალს სამინისტროს განცხადებით მომართა შპს „ჯავახავტოგზის“ დირექტორმა და ითხოვა 2017 წლის 31 ივლისის №ი-571 ბრძანებით დამტკიცებული მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმება.

2017 წელს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის №ი-571 ბრძანებით დამტკიცდა შპს „ჯავახავტოგზის“ ასფალტის საწარმოს მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილება.

შპს „ჯავახავტოგზის“ განცხადებაში აღნიშნულია, რომ საწარმოს საქმიანობა შეწყვეტილია და იგი აღარ ფუნქციონირებს. შესაბამისად, საქმიანობის განმახორციელებელმა ითხოვა გადაწყვეტილების გაუქმება.

შპს „ჯავახავტოგზის“ დირექტორის განცხადებისა და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შპს „ჯავახავტოგზა“-ს ასფალტის საწარმოს მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2017 წლის 31 ივლისის №ი-571 ბრძანება;
2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „ჯავახავტოგზას“;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ჯავახავტოგზის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
4. ბრძანების გაცემიდან 3 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი